ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135230931**
თარიღი:**03/04/2023**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:
1. დამტკიცდეს, მესტიის მუნიციპალიტეტის **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა,** დანართი №1-ის შესაბამისად. **(დანართი: 7 ფრ);**

2. აღნიშნული პროგრამის შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N-1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის
2023 წლის სამოქმედო გეგმა

შესავალი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, გამოკვეთოს პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც 2023 წელს უნდა განხორციელდეს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას.

საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რითიც ერთის მხრივ ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო მეორეს მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“

ამას გარდა, 2020 წელს მიღებული კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანი შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვაა. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებების, თვითმართველობებთან მიმართებით.

კანონის თანახმად, თვითმმართველობის ვალდებულებაა წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მისაწვდომი გარემოს (შენობა-ნაგებობების ადაპტირება) შექმნა როგორც დასაქმების უფლების რეალიზაციის, ასევე სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

სიტუაციური ანალიზი

შშმ პირთათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით ადაპტირდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 149 000 ლ.) .

2022 წლის შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. აშენდა და ადაპტირდა მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის ,ყარსგურიშის და მულახის საბავშვო ბაღები (თითოეული პროექტის ღირებულება 810 000 ლ.).

   „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა .

აღნიშნული გეგმის ფარგლებში მოგახსენებთ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და შემუშავდა პროგრამები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი სერვისების გეგმაზომიერი მიწოდება. მესტიის მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობითა (მათ შორის ფინანსური) და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 2019 წლიდან დაბა მესტიაში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის დაქვემდებარებაში მყოფი „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ სთავაზობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ადრეული განვითარების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლისა და რეაბილიტაცია-სამკურნალო მასაჟის პროგრამებს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრში პროფესიულ ვიზიტებს ახორციელებენ სხვადასხვა მოწვეული, მათ შორის უცხოელი სპეციალისტები და თითოეულ მათგანს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს არსებული რესურსით. სარეაბილიტაციო ცენტრში არსებული თითოეული მომსახურება/სერვისი ორიენტირებულია როგორც ბენეფიციართა განვითარებაზე, აბილიტაციაზე და მათ სოციალურ ინტეგრაციაზე, ასევე ოჯახებისთვის მხარდამჭერი სისტემის შექმნასა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებაზე. აღნიშნული პროგრამები ხელმისაწვდომია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი ბენეფიციარისთვის, სამიზნე ჯგუფისა და ასაკობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

➢ **შშმ საბჭო**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. საბჭოს წევრების შერჩევა მოხდა შშმ პირთა საჭიროებების, პრობლემების საკითხების გათვალისწინებით. საბჭოს შემადგენლობაში შედის 9 წევრი.

შშმ პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა
ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის“ ადმინისტრირების ქვეშ არსებული „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“ ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს/ზრდასრულს და მარტოხელა ხანდაზმულ პირებს. სარეაბილიტაციო ცენტრში ფუნქციონირებს დღის ცენტრის, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, შინმოვლისა და ადრეული განვითარების პროგრამები პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მშობლების ცნობიერების ამაღლება, ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა, პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების დროული ინტერვენცია.
• ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად • (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში; • ერთჯერადი კვება; • სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; • ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა; • ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის

<table>
<tr><td colspan="4">უზრუნველყოფა, როგორც მომსახურების ფარგლებში, ასევე მის გარეთ;
• ბენეფიციარების უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვა;
• დროის სწორი ორგანიზების, ეფექტიანი კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების სწავლება;
• პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შეთავაზება საჭიროებისამებრ;
• ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება;
• ბენეფიციართა ფუნქციურ-აკადემიური უნარების განვითარება;
• პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენა;
• ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
• მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი გეგმის შედგენა-განხორციელება;
• პიროვნული განვითარება;
• გარემოსთან ადაპტაციისა და სოციალური ინტეგრაცია;
• წინარე და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარება;
• პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა;
• დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა;
• პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება;
• ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისათვის სეანსის მიწოდებას, (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).
• ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება.</td></tr>
<tr><td rowspan="2">• აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ბენეფიციართა სოციალიზაცია
• ფუნქციური უნარების განვითარება
• ბენეფიციარებისთვის თვითმოვლის უნარებ-ჩვევების განვითარება
• ფუნქციური უნარების განვითარება
• დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარება
• საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
• ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტი (ლ)</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td></td><td>103 000 ლ.</td><td></td><td></td></tr>
</table>

გაუმჯობესება • ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა • ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი • პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა) ბავშვის განვითარების ნებისმიერი სფეროს დაყოვნებისა და/ან შესაბამისი რისკის მქონე ბავშვების დროული იდენტიფიცირება და ინტერვენცია.			

აქტივობა 2.1.2.	2023 წელს მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის, ყარსგურიშის, იფარის სკოლების მშენებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრე 2023 წელს მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის, ყარსგურიშის, იფარის სკოლების მშენებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტები გათვალისწინებულია მიმდინარე პროექტების პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში;			
	შედეგი ინდიკატორი: შშმ პირებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობა. მომსახურების სივრცეების ადაპტირება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა	**დაფინანსების წყარო**		
		საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	დონორი ორგანიზაცია	დეფიციტი
		11 122 920 ლ.		
მიზანი 3.	თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.			
ამოცანა 3.1.	საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის			
აქტივობა 3.1.1	მესტიის მუნიციპალიტეტისთვის შშმ. პირებისთვის ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეძენა.			
	შედეგის ინდიკატორი: შშმ პირებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობა. მომსახურების სივრცეების ადაპტირება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა	**დაფინანსების წყარო**		
		მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტი.	დონორი ორგანიზაცია იაპონიის საელჩო საქართველოში	დეფიციტი
		250 000 ლ.	200 000 ლ.	

მიზანი 4.	თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.
ამოცანა 4.1.	საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.
აქტივობა 4.1.1	მესტიის მუნიციპალიტეტისთვის დ. მესტიის სპორტკომპლექსის ადაპტირება და მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ლენჯერის მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, ადაპტირება.

	შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**		
	შშმ პირებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობა. მომსახურების სივრცეების ადაპტირება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტი	დონორი ორგანიზაცია	დეფიციტი
		460 000 ლ.		

მიზანი 5.	თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის,ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.
ამოცანა 5.1.	დღის ცენტრების მოზარდების წახალისება, მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა და მოტივირება.
აქტივობა 5.1.1	დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის“ ბენეფიციარებისთვის საჩუქრე პაკეტის გადაცემა. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა შშმ პირის/ბავშვისთვის სასაჩუქრე პაკეტის გადაცემა.

	შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**		
	შშმ პირების/ბავშვების წახალისება და მოტივირება.	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტი	დონორი ორგანიზაცია	დეფიციტი
		2000 ლ 4159.20 ლ		

<table>
<tr><td>მიზანი 6.</td><td colspan="4">თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 6.1.</td><td colspan="4">ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 6.1.1</td><td colspan="4">2023 წელს მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის ჭოლაშის, მაზერის, დ. მესტიის და იფარის ადაპტირებული საბავშვო ბაღების მშენებლობა.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი: შშმ პირებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობა. მომსახურების სივრცეების ადაპტირება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტი</td><td>დონორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>5 384 792 ლ.</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4"></td></tr>
</table>

მონიტორინგი და ანგარიშგება

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგს ყოველწლიურად საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი ახორციელებს.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშში, რომელსაც წარუდგენს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.